სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 დეკემბერი, 2025

ბრძანება № 01-02/240

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ შორენა გაბაიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/18 დადგენილების, „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 27 სექტემბრის N01-08/514 ბრძანების, „ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული (მათ შორის მობილობის შედეგად) დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სათაურის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 დეკემბრის N01-02/213 ბრძანების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტ შორენა გაბაიძისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 28 თებერვლის N01-08/54 ბრძანების, „2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 7 მარტის N01-08/52 ბრძანების, „ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული (მათ შორის მობილობის შედეგად) დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სათაურის დამტკიცების შესახებ“ შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 დეკემბრის N01-02/213 ბრძანებაში შორენა გაბაიძის ნაწილში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 17 აპრილის N01-02/75 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის N06-01/61 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი N27–20/12, 24.12.2025,) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 დეკემბრის MES 7 25 0001834937 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ შორენა გაბაიძის სადისერტაციო ნაშრომის: **„ერითროციტური ჯგუფური ანტიგენებისა და ანტისხეულების სინთეზის თავისებურებანი პრენატალურ და პოსტნატალურ პერიოდში“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2026 წლის 26 იანვარს, 12:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის /რუსთაველის №35/32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

2.1. **ქეთევან დოლიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

2.2. **ეთერ ჯაყელი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი -კომისიის მდივანი;

2.3. **რუსუდან ხუხუნაიშვილი** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის წევრი;

2.4. **მარინა ქორიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.5. **გუგული დუმბაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.6. **სოფიკო ცქვიტინიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.7. **ზოია სიხარულიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, გამძლეობის გენეტიკის განყოფილება -კომისიის წევრი;

2.8. **მანანა ჩიხლაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის წევრი;

2.9. **თინათინ ჩიქოვანი** - პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსსუ-ს სასწავლო

სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს პროფესორ მარინა ნაგერვაძეს და სადისერტაციო საბჭოს მდივანს ასოცირებულ პროფესორ ეთერ ჯაყელს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე